სკოლმდელო განათლება. მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღი და სოფელ ლლოს საბავშვო ბაღი. ონისა და გლოლს ბაღი, ბაღს მიღმა და რჩენილ ბავშვებისთვის, მუნიციპალიტეტში დაწესდა ალტერნატიული სკოლმდელო განათლება, სასკოლო მზაობის ცენტრების მეშვეობით. აღნიშნული ცენტრები ფუნქციონირებენ 3 საათიანი დღის რეჟიმით და 30 კვირიანი პროგრამით, რომელიც ეფუძნება ადრეული და სკოლმდელო აღზრდისა და განათლების სახელწიფო სტანდარტს. ბაღს მიღმა და რჩენილ ბავშვებისთვის სათანადო კვალიფიციური კადრი სოფელ დარ-არსებობას. ერთ სკოლმდელო დაწესებულებაზე მცხოვრებთა რაოდენობის მაჩვენებელი ონის მუნიციპალიტეტში (2 701,8 კაცი) მნიშვნელოვნად მაღალია ლენტეხისა (242,1 კაცი) და ყაზბეგის (418,3 კაცი) ანალოგიურ მაჩვენებლებზე.

2022 წელს ბაგა-ბაღების დაფინანსება 362 000 ლრს შეადგენდა. მუნიციპალიტეტში სკოლმდელო განათლებაში ჩართულია 160 ბავშვი. მუნიციპალიტეტს გასავლელი აქვს სკოლმდელო დაწესებულებების ავტორიზაცია.

ცხრილ 21 ონის მუნიციპალიტეტის სკოლმდელო დაწესებულებების ავტორიზაციისათვის საჭირო აქტივობები


საჭირო აქტივობა	დასახლება	ბავშვების რაოდენობა
ბაგა-ბაღის მშენებლობა	ქ. ონი	100
ბაგა-ბაღის ეზოს სტანდარტის შესაბამისად მოწყობა	ქ. ონი	80
სოფლსა და მიმდებარე სოფლებისთვის საბავშვო ბაღის მშენებლობა	სოფელი დარი	50

საბავშვობის შენობის რეაბილიტაცია	სოფელი გლოლი	30
საბავშვობის ეზოს სტანდარტის შესაბამისად მოწყობა	სოფელი გლოლი	30

წყარო: ონის მუნიციპალიტეტი


ონის მუნიციპალიტეტის საბავშვობალებში 2023 წელს 38 ქალი იყო დასაქმებული (88%) და 5 მამაკაცი, მასწავლებლების რაოდენობა ბაღებში იზრდება. რაც შეეხება საბავშვობალების აღსაზრდელების რაოდენობა 59 გოგო (44%) და 76 ბიჭია. 2022 წლისთვის მუნიციპალიტეტში 110 ახალგაზრდა დედაა.

დაგრამა 10. სკოლმდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების აღსაზრდელების რაოდენობა ონის მუნიციპალიტეტში მოსახლეობის 1 000 კაცზე



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

დაგრამა 11. სკოლმდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების აღსაზრდელების რაოდენობების შედარება, 2022-2023 წლების პერიოდისთვის



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ზოგადი სრული განათლება. ონის მუნიციპალიტეტში 9 სსიპ საჯარო სკოლა 544 მოსწავლეთა და 135 მასწავლებლით. 2013 წლიდან მოსწავლეთა რაოდენობა სკოლებში 600-ზე ნაკლებია. მუნიციპალიტეტის 1 მასწავლებელზე ოთხი საშუალო სკოლის კურსდამთავრებული მოდის. ადგილობრივ პედაგოგიურ კადრებთან ერთად სკოლებში დასაქმებული არიან მასწავლებლები, რომლებმაც დაამთავრეს პროგრამა „მასწავლებელი საქართველოსთვის“ და დაარსებულნი არიან სკოლებში. სკოლებში ბავშვების ტრანსპორტირებას სკოლა მდებარე სრულ და უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტი. ონის მუნიციპალიტეტის სკოლებს ყოველწლიურად 50-მდე მოსწავლე ამთავრებს³⁰. 2022-2023 სასწავლო წელს ოქროს მედლით სკოლა დაასრულა 10 მოსწავლემ, უმაღლეს სასწავლებელში ჩააბარა და სახელმწიფო განტე მოიპოვა მუნიციპალიტეტის სკოლების 55-მა კურსდამთავრებულმა.

30 მეტი ინფორმაცია ონის მუნიციპალიტეტის საჯარო და კერძო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების შესახებ იხილეთ ნაწილი 12.

ცხრილი 22.

	2018/2019	2019/2020	2020/2021	2021/2022	2022/2023
საშუალო სკოლს კურსდამთავრებულთა რიცხოვნობა	55	62	43	49	40
ოქროს მედალოსანი კურსდამთავრებული	5	8	9	8	10
ვერცხლს მედალოსანი კურსდამთავრებული	1		1	1	
უმაღლესი სასწავლებელში ჩარიცხული კურსდამთავრებული სახელმწიფო განათებით	7	7	9	4	7

წყარო: საქსტატი

მუნიციპალიტეტი ზრუნავს თავის კურსდამთავრებულ ბავშვებზე. 2023 წლიდან ამოქმედდა დამოუკიდებელი მონიტორინგის გეგმა, ონის მუნიციპალიტეტის მერიის სტიპენდიის გაცემა წარმატებული სტუდენტებისთვის ახალგაზრდული პროგრამის ფარგლებში. 2023 წელს 200 ლარის ოდენობის სტიპენდია მიიღო ცამეტმა სტუდენტმა. სახელმწიფო სოციალური პროგრამით ფინანსდება მაღალმთიანი სტატუსის მქონე ოთხი კურსდამთავრებული. „გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული სტუდენტების სწავლის დაფინანსების“ პროგრამის ფარგლებში 32 ახალგაზრდას უფინანსდება უმაღლესი სასწავლებელში სწავლის გადასახადი. მუნიციპალიტეტის ყველ საჯარო სკოლს სარგებლობს ინტერნეტ მომსახურებით და ადაპტირებულია შშმ პირთათვის.

ეტაპობრივად მიმდინარეობს სარემონტო სამუშაოები მუნიციპალიტეტის 3 საჯარო სკოლაში. 2022 წელს განხორციელდა სოფლების შეუზღისა და გლოლს საჯარო სკოლების რეაბილიტაცია.

არაფორმალური განათლება. ონის მუნიციპალიტეტში ახალგაზრდობის არაფორმალური განათლებას უზრუნველყოფს: ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის ზურაბაკურაძის სახელობის სამუსიკო სკოლა; ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი; ახალგაზრდული სივრცე; ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის უჩაჯაფარიძის სახელობის სამხატვრო სკოლა. ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის ზურაბაკურაძის სახელობის სამუსიკო სკოლა, საკუთარ შენობაში ავარიულობის გამო ვერ აგრძელებს მუშაობას და დროებით განთავსებულია ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის გიგაჯაფარიძის სახელობის კულტურის სახლი არასაკმარისი ფართი აქვს ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლს და ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის უჩაჯაფარიძის სახელობის სამხატვრო სკოლსაც, რაც სასწავლო პროცესის ხარისხზე ახდენს ზეგავლენას. მიუხედავად ამისა, სამხატვრო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი სანახევროდამავე სკოლს კურსდამთავრებულ კადრით არის დაკომპლექტებული, რომლებიც სამხატვრო აკადემიის დამთავრების შემდეგ, უკან დაუბრუნდნენ მშობლიურ სკოლს და წარმატებით აგრძელებენ პედაგოგიურ მუშაობას. თითოეული მათგანი საჭიროებს თანამედროვე ინვენტარით აღჭურვას.

არა ფორმალური განათლების დაწესებულებები ემსახურება 285-ზე მეტ ბავშვს, მ.შ. 192 გოგო. სასკოლო ასაკის ახალგაზრდებისთვის ხელისაწვდომია კლასიკური მუსიკის, ხალხური სიმღერებისა და ცეკვების შესწავლა, ხოლო ფორმალური განათლების პარალელურად, შეუძლიათ მიიღონ დამატებითი განათლება სხვადასხვა საგნობრივ წრეში: ხის მხატვრულ და მუშავება, თქის და მუშავება, ქსოვა, ხატვა და სხვა. ამ წრეებში 89 ბავშვია ჩართული. ახალგაზრდებს შეუძლიათ თავისუფალ დროს დაუთმონ სამოყვარულო დასის სპექტაკლებში მონაწილეობას და მოახდინონ შემოქმედებითი უნარების რეალიზაცია.

კულტურა. მუნიციპალიტეტი მოსახლეობის დასვენების, გართობის, თავისუფალ დროის ორგანიზებულ და გატარებისთვის ახორციელებს და კოორდინაციას უწევს მასობრივი ღონისძიებების პროექტებს. აღნიშნული პროექტები ხელ უწყობს ადგილობრივი ავთენტური ფოლკლორული ნიმუშების მოძიებას, ფესტივალის ორგანიზებას და მათ პოპულარიზაციას. არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაცია სამომავლოდ ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტს გადაიქცეს საფესტივალო ლოკაციად. მუნიციპალიტეტში უკვე დაიკვიდრეს ადგილი საერთაშორისო ფოლკლორულ ფესტივალს და რეგიონულმა მასობრივმა ღონისძიებებმა. ამ პროცესში ჩართულია ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის გიგა ჯაფარიძის სახელობის კულტურის სახლო ფოლკლორული ანსამბლებით „რაჭა“ და „ბუბა“, ქორეოგრაფიული ანსამბლით „ორბა“, სამოყვარულო თეატრალური დასით. მუნიციპალიტეტის საფესტივალო ტრადიციების გასაგრძელებლად და განვითარებისთვის აუცილებელია აშენდეს მრავალუნქვიანი ამფითეატრი. ასევე ერთ-ერთი პრიორიტეტია სახალხო თეატრისთვის ძველი ტრადიციების დაბრუნება.

მუზეუმი. მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი. 1991- 2009 წლებში მომხდარი მიწისძვრების შედეგად მუზეუმის შენობა ავარიულია და ვერ ფუნქციონირებს სრულ დატვირთვით, მიუხედავად არსებული მდგომარეობისა მუზეუმი ახორციელებს სამეცნიერო კვლევებს, კულტურულსაგანმანათლებლო საქმიანობას, კულტურული მემკვიდრეობის გამოვლენას, შეგროვებას, აღრიცხვას, დაცვას, შესწავლას, ექსპონირებას და პოპულარიზაციას. მუზეუმში დაცული არქეოლოგიური მასალა მოიცავს ქვეყნის ისტორიულ-კულტურული განვითარების სხვადასხვა პერიოდს, კერძოდ ქვის ხანიდან გვიანფოლკლორული ხანის ჩათვლით. მუზეუმის საცავებში, დღეის მდგომარეობით, დაცულია 14 252 ექსპონატი, მათი უმრავლესობა განეკუთვნება ბრინჯაოს პერიოდს.

2022 წელს დასრულდა რაჭის ახალი მუზეუმის შენობის მშენებლობა რომლის გახსნაც იგეგმება 2024 წელს, სადაც არსებული მუზეუმი განაგრძობს ფუნქციონირებს ეროვნული მუზეუმის დაქვემდებარებაში. 2022 წელს მუზეუმს 1250 ვიზიტორი ყავდა.

ბიბლიოთეკები. მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს ერთი ცენტრალური (ქ. ონის) და 17 სასოფლო ბიბლიოთეკა 62 597 წიგნადი ფონდით, მკითხველთა რაოდენობა მუნიციპალიტეტში 1055 შეადგენს. მათზე წლის მანძილზე, საშუალოდ 5235 წიგნი, ბროშურა და ჟურნალი გაიცემა. 2022 წელს 1 მკითხველი წლის განმავლობაში ბიბლიოთეკაში საშუალოდ სარგებლობს 5

წიგნით, ბროშურით ან/და ჟურნალთ, ხოლო 1 ბიბლიოთეკა წლის განმავლობაში საშუალოდ ემსახურება 59 მკითხველს. 2022 წელს წიგნით მოსახლეობის მომსახურებისთვის მუნიციპალიტეტმა 77000 ლრი დახარჯა. ონის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკებში დასაქმებულია 25 ადამიანი, მ.შ. 23 ქალა. წლის განმავლობაში ბიბლიოთეკებში საინტერესო კულტურულ და შემეცნებითი ღონისძიებები იმართება, სადაც მონაწილეობენ მკითხველთა სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფები. ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკა განთავსებულია ავარიულ შენობაში, სოფლის ბიბლიოთეკების ინფრასტრუქტურა ყველგან მოსაწესრიგებელია, მოძველებული ინვენტარი, წიგნადი ფონდი მოითხოვს განახლებას, კაბინების გადაშადებას. ონის ბიბლიოთეკას არ აქვს საკმარისი ფართობი საბავშვო წიგნადი ფონდისთვის და სათანადო მომსახურების გაწევისთვის.

სპორტი. მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის ბავშვთა და მოზარდთა სასპორტო სკოლს კომპლექსი და ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლს „მამისონი“. 2022 წელს, ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის ბავშვთა და მოზარდთა სასპორტო სკოლს დაფინანსება მიმდინარე წელს შეადგენდა 163 700 ლრს, აქედან სპორტული ღონისძიებები დაფინანსდა 44 900 ლრით. ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლს მამისონის დაფინანსება კი შეადგენდა 84 000 ლრს, საიდანაც სპორტული ღონისძიებები დაფინანსდა 15 120 ლრით. იმავე პერიოდში, ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის ბავშვთა და მოზარდთა სასპორტო სკოლში დასაქმებულია 16? ადამიანი, მ.შ. 4 ქალი, მასში გაერთიანებულია 105 ბავშვი. მუნიციპალიტეტის დაფუძნებული საფეხბურთო სკოლს ემსახურება 50 ბავშვს. სკოლში 13 ადამიანია დასაქმებული, რომელთაგან 4 ქალა. 2023 წელს შეიქმნა რაგბის რეგიონული კლუბი „მარანტები“ მასში ონის მუნიციპალიტეტიდან გაერთიანებულია 8 ბავშვი, დასაქმებულია 2 ადამიანი, ორვე მამაკაცი.

მუნიციპალიტეტში, სხვადასხვა სახეობებში ახალგაზრდების წვრთნა და მოზარდთა უფასოა. ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის ბავშვთა და მოზარდთა სასპორტო სკოლს კომპლექსში ფუნქციონირებს ჭიდაობის (თავისუფალი და ბერძნულრომაული ჭიდაობის), კალთბურთისა და ფრენბურთის სექციები. ასევე, სკოლს სთავაზობს მოსახლეობას სხვადასხვა სახის სერვისს, როგორცაა ფიტნეს სერვისი და საცოცი კედელი. სკოლს დამთავრებული აქვთსაქართველოს, ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონებს.

2023 წლის ბოლოსთვის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა ისარგებლებს 26 მინი სტადიონით, სლვა მეტრეველს სახელობის სტადიონითა და ღია სივრცეებში განთავსებული სპორტული ტრენაჟორებით. მუნიციპალიტეტი ახორციელებს წარმატებულ სპორტსმენების და მწვრთნელს დახმარებას ფულადი ჯილდოს სახით. 2022 წელს ამ ღონისძიებისათვის დაიხარჯა 5000 ლრი და დაფინანსდა 5 ბენეფიციარი, ხოლო 2023 წელს 4200 ლრით დაფინანსდა 4 ბენეფიციარი.

1.6. გარემოს დაცვა

ონის მუნიციპალიტეტი მდიდარია წყლის რესურსებით, რომელიც წარმოდგენილია უხვი ზედაპირული და მიწისქვეშა (მტკნარი და მინერალური) წყლებით. მუნიციპალიტეტის მთავარი მდინარეა რიონი და თავისი შენაკადებით. ტერიტორია ფლორისა და ფაუნის მრავალფეროვნებით გამოირჩევა. დაბალ ზონაში ადამიანის აქტიური ზემოქმედების შედეგად კულტურული ლანდშაფტია წარმოდგენილი. ბუნებრივი მცენარეულობა მხოლოდ მწიფე და ასათვისებელ და დაუსახლებელ ტერიტორიებზეა შემორჩენილი და წარმოდგენილია მუხნარებით, ფიჭვნარებით, მუხნარ-რცხილნარებით, წაბლრცხილნარებით. ამ ძირითადი ფორმაციების გვერდით გვხვდება უთხოვარი, ცაცხვი, ნეკერჩხალო. მუნიციპალიტეტში ფრაგმენტებად განლაგებული ხელუხლებელი ტყეები და ალური მდელოები გვხვდება კავკასიონის სამხრეთ ფერდობზე შოდა-კედელზე, ქვედრულს სათავეებში და სხვა მცირე მონაკვეთებში. უნიკალური ბუნების დაცვა-შენარჩუნებისათვის მნიშვნელოვანი წინაპირობაა ონში დაცული ტერიტორიების არსებობა, რომელიც შეიქმნა არსებული ბიომრავალფეროვნების დაცვის მიზნით, 2022 წელს. ამასთან ტყეში ხანძარსაწინააღმდეგო საპრევენციო ღონისძიებების გატარების მიზნით განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს დაცული ტერიტორიების არსებობა.

ონის მუნიციპალიტეტი მოიცავს ლეჩხუმის ქედისა და რაჭის კავკასიონის ბოტანიკურ-გეოგრაფიული რაიონის 3 ქვერაიონს, სახელდობრ ჭანჭახისა და შოდა-კედელს, დების და ლეჩხუმის ქედისა და ჭუთხარო-შუშაროს მასივის ქვერაიონებს. სოფელი მრავალალო ლეჩხუმის ქედისა და ჭუთხარო-შუშაროს მასივის ქვერაიონში მდებარეობს. შესაბამის აქარის გავრცელებული რაიონისთვის დამახასიათებელი ფლორა და ფაუნა. კერძოდ:

გარეული ცხოველებიდან გავრცელებულია: შველი, დათვი, მაცვი, კურდრელი, კატა-დედოფალი, ფოცხვერი, ციყვი, ტურა, კვერნა, ღორი, მელა, მგელი, ჯიხვი და არჩვი.

სამკურნალო მცენარეებიდან გავრცელებულია: უთხოვარი, ნეკერჩხალო, ასკილი შინდი, მაყვალა, კუნელი ჭინჭარი, ცაცხვის ყვავილი, ფირის ულს ზირები, იელი, მოცხარი

მინერალური რესურსები ონის მუნიციპალიტეტში. ონის მუნიციპალიტეტის ძირითადი ბუნებრივი რესურსებია: წყლის რესურსები; მინერალური რესურსები და მტკნარი მიწისქვეშა წყლები. მუნიციპალიტეტში არის ბუნებრივი წყლები³¹ 1,022482 მლნ. მ³/დღ. ოდენობის ჭარბი რესურსი. მუნიციპალიტეტში მრავალი სახეობის სასარგებლო წიაღისეული მოიპოვება, მაგრამ მუნიციპალიტეტის მაპროფილებელი მინერალის სახეობებია³²: მეტალური წიაღისეული; სამშენებლო მასალები და მოსაპირკეთებელი ქვები; შავი მეტალები -


³¹ დეტალურად იხილეთ დანართი 13.

³² დეტალურად იხილეთ დანართი 14

მანგანუმი; კეთილშობილ, ფერადი და იშვიათი მეტალები - ოქრო და ვერცხლი; სამთქიმოური ნედლეული. სამშენებლო მასალების თვალსაზრისით, ონის მუნიციპალტეტი მდიდარია შემდეგი ბუნებრივი ქვებით: მოსაპირკეთებელი ქვები, საკირე კირქვები, ნედლეული სამშენებლო ღორღის მისაღებად.

ბუნებრივი რესურსების მოპოვება-გადამუშავებასთან დაკავშირებით მისაღებია ისეთი გადაწყვეტილებები, რომ არ დაზიანდეს გარემო და შესაძლებელი იყოს მუნიციპალტეტის ტურისტული პოტენციალის, ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის და ენდოგენური პროდუქტების წარმოების შესაძლებლობა.

ილუსტრაცია 5. სოფელ შქმერთან არსებული ვითარება წიაღისეულს მოპოვებასთან და დაგეგმილპროექტებთან დაკავშირებით.



წყარო: გენგეგმა

ცხრილი . ონის მუნიციპალტეტის ხარჯები გარემოს დაცვით მიმართულებით, ათასი ლრი

	2018	2019	2020	2021	2022
ნაკირსამაგრი სამუშაოები	604.500	1.293.218	2.124.246	4.882.036	3.657.829
საკანალოზაციო სისტემები	-	60.450	35.820	-	133.314,51
სანიადვრე არხები	283.100	452.693	271.881	285.453	341.466

წყარო: ონის მუნიციპალტეტი

მუნიციპალტეტში 2023 წლადნ ფუნქციონირება დაიწყო „ონის მუნიციპალტეტის გამწვანების სამსახურმა“, რომელიც უზრუნველყოფს ქალქის სკვერებისა და გამწვანების ზოლს მოვლა-შენახვას.

ქ. ონსა და 40 სოფელს (იხ დაწარით 15) ემსახურება ადგილობრივი თითმმართველობის დაქვემდებარებაში მყოფი შპს „ონის სერვის ჯგუფი“. სრული

მომსახურება ვერ ხერხდება საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმართაობის გამო. შპს „ონი სერვის ჯგუფი“ ახორციელებს ნარჩენების შეგროვებას, მყარი ნარჩენების მოცულობის აღრიცხვას და მათ პოლიგონზე განათავსებს. მის მიერ შეგროვებულ ნარჩენების რაოდენობა 6900 მ³-ია წლიურად. მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით საჭიროა 120 სანაგვე ურნის, 1 ნაგავმზიდი მანქანის დამატება.

მუნიციპალიტეტში შეგროვილი ნარჩენები გროვდება რიონი-ჯეჯორას შესართავთან არსებულ ნაგავსაყრელზე, რომელსაც გასული აქვს ექსპლუატაციის ვადა და საჭიროებს დახურვას. მუნიციპალიტეტის უმეტეს სოფლებში არსებობს ქაოტური ნაგავსაყრელები, რომელც წარმოადგენს ანტისანიტარიის კერას და საჭიროებს სასწრაფოდ ლოკვიდაციას, დოკუმენტის შედგენის პროცესში მიმდინარეობდა ქაოტური ნაგავსაყრელების ლოკვიდაციის პროცესი სოფელ ღებში, უწერასა და ჭიორაში. 2024 წლისთვის დაგეგმილია სრულ დახურვა ლოკვიდაცია. საკითხი გათვალისწინებულია ნარჩენების მართვის სამოქმედო გეგმაში.

მიმდინარეობს სეპარაციასთან ნარჩენების დაკავშირებით ცნობიერების ამაღლების კამპანია. სეპარირებულ ნარჩენების დასაწყოებელი შენობის მშენებლობა დაწყებულია ქ. ონში. დასრულდა სამუშაოების პირველი ეტაპი სადაც შესაძლებელია დაახ 50მ³ მოცულობის სეპარირებულ ნარჩენის შეგროვება.

1.7. მუნიციპალური სერვისები და მმართველობა

მუნიციპალური სერვისები: ონის მუნიციპალიტეტში ხელსუფლება ახორციელებს ადგილობრივი თვითმმართველობის მეშვეობით, რომელიც შედგება წარმომადგენლობითი (საკრებულო) და აღმასრულებელი (მერია) ორგანოებისაგან. ონის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო და მუნიციპალიტეტის უმაღლესი თანამდებობის პირი არის მერი, რომელიც წარმოადგენს მუნიციპალიტეტს, უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებების განხორციელებასა და მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს გადაწყვეტილებების აღსრულებას.

ონის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოა კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანო - მუნიციპალიტეტის საკრებულო, რომელსაც ხელმძღვანელობს საკრებულოს თავმჯდომარე. საკრებულო აირჩევა 4 წლის ვადით მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული საქართველოს მოქალაქეების მიერ პირდაპირი არჩევნებით საყოველთაო თანასწორი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით. ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ საქართველოს ორგანული კანონი განსაზღვრავს საკრებულოს განსაკუთრებულ უფლებამოსილებებს, რომელთა გადაწყვეტა მხოლოდ საკრებულოს პრეზიდიუმსა და მათი დელეგირება თვითმმართველობის სხვა ორგანოებზე დაუშვებელია. აღნიშნული უფლებამოსილებებიდან შეიძლება გამოიყოს: ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტის განხილვა და დამტკიცება; საკრებულოს თავმჯდომარის, რომელიც თვითმმართველო ერთეულს უმაღლესი თანამდებობის პირია, არჩევა; ადგილობრივი გადასახადებისა და

მოსაკრებლების შემოღება და სხვა. თუმცა, განსაკუთრებული უფლებამოსილებებიდან, შეიძლება ითქვას, უმთავრესია საკრებულოს უფლებამოსილება დაამტკიცოს როგორც საკუთარი, ისე აღმასრულებელი ორგანოს, მისი სამსახურებისა და ტერიტორიულ ორგანოების დებულებები, ანუ მოახდინოს თვითმართველი ერთეულის საკუთარი უფლებამოსილებების გადაწილება თვითმართველობის წარმომადგენლობით და აღმასრულებელ ორგანოებსა და თანამდებობის პირებს შორის. საქართველოს ადგილობრივ თვითმართველობათა ეროვნული ასოციაციის მიერ ორგანიზებულ საუკეთესო პრაქტიკის კონკურსში 2022 წელს ონის მუნიციპალიტეტის მერიას მიღებული აქვს საქართველოს ადგილობრივ თვითმართველობათა ეროვნული ასოციაციის მიერ ორგანიზებულ საუკეთესო პრაქტიკის კონკურსის ჯილდო „ახალგაზრდული პოლიტიკის განხორციელება და ახალგაზრდების ჩართულობის ხელშეწყობა“.

მუნიციპალიტეტში 2,4³³ საჯარო დაწესებულებაა 1000 მოსახლეზე, 64 მუნიციპალიტეტის თანამშრომელი მოდის იგივე რაოდენობის მოსახლეზე. 1000 მაცხოვრებელს მუნიციპალიტეტის 64 თანამშრომელი ემსახურება.

მერიის სტრუქტურა და საშტატო. მაცხოვრებლების გარდა, მუნიციპალური სერვისებით ³⁴სარგებლობენ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი შემდეგი ეკონომიკური სუბიექტები: სამშენებლო და სამშენებლო მასალების მწარმოებელი კომპანიები, ჰესები, ხის გადამამუშავებელი ქარხანა, კვების და ტურიზმის კლასტრების წევრები, მუზეუმი, საჯარო და სახელოვნებო სკოლები, საბავშვო ბაღები, და ბაგა-ბაღი, სავაჭრო ობიექტები, და სხვა. მუნიციპალიტეტის გარდა მათ მომსახურებას უწევენ ადგილობრივ, რეგიონულ და ეროვნულ დონეზე მოქმედი შემდეგი ორგანიზაციები: რაჭის მდგრადი განვითარების ასოციაცია, აჭარის ტურიზმისა და კურორტების ასოციაცია, სოფლის განვითარების სააგენტოს ონის საკონსულტაციო ცენტრი, დცულ ტერიტორიების სააგენტო, PMCG კვლევითი ცენტრი, საქართველოს ადგილობრივი თვითმართველობის ფინანსთა ასოციაცია.

სახელწიფო სერვისებს, მუნიციპალიტეტში მოქმედი ეკონომიკური სუბიექტები დებულობენქალაქ ონში მოქმედი იუსტიციის სახლს, ხოლო სოფლებში მისი მობილური სერვისის საშუალებით. მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოსთან ერთად მიმდინარეობს მუნიციპალური სერვისების დიჯიტალიზაციის პროცესი. დღეისთვის ელექტრონიზებულია შემდეგი სერვისები: MSDA, MMS, HRMS. არსებულ დიჯიტალიზებულ სერვისებით მოსახლეობის სარგებლობის დონე დაბალა კომპიუტერებსა და ინტერნეტთან წვდომის და ცოდნის დაბალი დონის გამო.

სახელწიფო სტრუქტურებიდან, მუნიციპალიტეტი თანამშრომლობს ინფრასტრუქტურისა და რეგიონული განვითარების სამინისტროსთან; კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან; ფინანსთა

³³ წყარო: 2022 წლის მონაცემები

³⁴ იხ. მუნიციპალური და სახელწიფო სერვისების ჩამონათვალი დანართ 15-ში

სამინისტროსთან; განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან; ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან; საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებთან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან; ახალგაზრდობის სააგენტოსთან.

ეროვნულ დონეზე მოქმედი ეკონომიკური მუნიციპალიტეტის თანამშრომლობის გამოცდილება აქვს შემდეგ ორგანიზაციებთან: სათავგადასავლო ტურიზმის სკოლა, სერფინგის და სათავგადასავლო ტურიზმის ასოციაცია, აფხაზინტერკონტი, კოლუჯი ერქვანი, თბილისის ბიბლოთეკა და პიემ სი კვლევითი ცენტრი. განვითარების პარტნიორებიდან, მუნიციპალიტეტის თანამშრომლობის გამოცდილება აქვს შემდეგ ორგანიზაციებთან და პროგრამებთან: ავსტრიის საელჩოსთან, ავსტრიის კულტურის ცენტრთან, ჩეხეთის რესპუბლიკის კარიტასი საქართველოში, ევროპის საბჭო, UNDP, მერები ეკონომიკური ზრდისთვის და USAID-ის ძლიერი სოფლის პროგრამა.


ბიუჯეტი. ონის მუნიციპალიტეტის 2022 წლის შემოსულობებმა 18 765 200 ლრი შეადგინა. მუნიციპალიტეტში 2022 წელს, 600 ფიზიკური და იურიდიული პირის მიერ გადახდილია ქონების გადასახადმა 911 822 ლრი შეადგინა, რაც 2022 წლის მთლიანი ბიუჯეტის დაახლოებით 5%-ია. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი ყოველწლიურად იზრდება. ბიუჯეტის ხარჯები ერთსულმოსახლეზე 3 459 ლრს შეადგენს, ლენტეხის მუნიციპალიტეტის ხარჯი ერთსულმოსახლეზე 3 442,6 ლრია. ონის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯი 2022 წელს 21 455 693 ლრი იყო, საიდანაც ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტებისთვის დახარჯულია 15 856 019 ლრი (ბიუჯეტის 74%), მუნიციპალიტეტის თანამშრომლების შრომის ანაზღაურების ფონდში გახარჯული იქნა 2 106 986 ლრი. ონის მუნიციპალიტეტში 2022 წელს საკანონმდებლო და აღმასრულებლო ორგანოებში დასაქმებულია 134 კაცი, ხოლო მის დაქვემდებარებაში მყოფ ა(ა)იპ-ებში 209 კაცი, სულ დასაქმებულია 343 კაცი, რაც მუნიციპალიტეტის მოსახლეობის 6 %-ს შეადგენს.

დაგრამა 13.. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლების დინამიკა, ლრი



წყარო: ონის მუნიციპალიტეტი

დაგრამა 14. მუნიციპალიტეტის ხარჯები, 2022 წელს, ლრი



წყარო: ონის მუნიციპალიტეტი

1.8. SWOT ანალიზი

ძლიერი მხარეები	სუსტი მხარეები
<ul style="list-style-type: none"> • ეკოლოგიურია დასუფთავებული. • ტყის ბიომრავალფეროვნება. • ნარჩენების მართვის სერვისით ქალქის სრულ დაფარვა, სეპარაციასთან დაკავშირებით ცნობიერების ამაღლების კამპანიის არსებობა და დასასაწყობებელი შენობის მშენებლობა • მაღალი სიჩქარის და იაფი ფართობოვანი ინტერნეტის არსებობა მუნიციპალიტეტში. • ტურისტული სანახაობების სიმრავლე. • ტრადიციული პროდუქტების (რაჭული ლორი, შქმერული, ლობიანი, რაჭული ყველი) წარმოება. • საერთაშორისო და რეგიონული ფოლკლორული მუდმივი მემკვიდრეების სტივალბი. • რაჭის მუზეუმის თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი შენობა • სათბ-სამოვრების მდიდარი რესურსები. • მუნიციპალიტეტში სხვადასხვა სახის წიაღისეული რესურსის არსებობა. • მდიდარი ჰიდრორესურსები; • მინერალური და სამკურნალო წყლების დიდი რესურსი. • დასავლეთსაქართველოს დიდი ქალქთან და აეროპორტთან სიახლოვე. ქალქ თბილისთან დაკავშირებული საჩხერი-ონის გზა. • შიდა სრულ დასფაღირებული ქუჩები ქალქონში. • თრამეტები თემში ასფაღირებული სოფლებამდე მისასვლელი გზები. • მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სრულდმოწყობილია გარეგანათება. • გამართული წყალმომარაგების, საკანალიზაციო და სანიაღვრე სისტემები ქალქონში. • მუნიციპალიტეტის მუდმივად მაცხოვრებელი დასახლებების უზრუნველყოფა ელექტროენერჯით და მობილური კავშირით. • ქალქონისა და 17 სოფლის უზრუნველყოფა ბუნებრივი აირით. 	<ul style="list-style-type: none"> • მწირი ნიადაგები, დამრეცი რელიეფი და ფართობების ფრაგმენტაცია. • სათბ-სამოვრების მნიშვნელოვანი ნაწილის გაუხეშება. • აგროწარმოების და ლოჯისტიკის განვითარების არადაკმაყოფილებელი დონე. • სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების დაბალი პროდუქტიულობა. • საკრედიტო რესურსებზე ხელმეორე დომლობა. • არასრულყოფილი კერძინარული მომსახურება. • ჰასპის სტანდარტების დაწერვის სირთულე; • გახშირებული მეწყრული და ეროზიული მოვლენები • ეკონომიკის განვითარების ხელმეორეობი მუნიციპალიტეტში სერვისების სიმცირე; • მოკლე ტურისტული სეზონი; • ვაჭრობის და მომსახურების სფეროს არასაკმარისი დონე; • მაღალი კლასის სასტუმროების სიმცირე; • მრეწველობის/წარმოების სექტორის განვითარების არადაკმაყოფილებელი დონე; • მემკვიდრეობის სუბიექტების მცირე რაოდენობა; • ბიზნეს სექტორში ტექნოლოგიებით სარგებლობისა და ცნობადობის არასათანადო დონე; • ადამიანური რესურსის სიმცირე/გადინება; • სოფლებში მოუწესრიგებელი შიდა საუნთ და სასოფლო სავარგულბამდე მისასვლელი გზები; • მუნიციპალიტეტის მომარაგებელი წყლის სათავი ნაგებობების არადაკმაყოფილებელი მდომარეობა; • სოფლდასამელი წყლის არადაკმაყოფილებელი ხარისხი (ტექნიკური წყალი); • წყალნიერების ქსელის არარსებობა სოფლებში, ქალქონში გამწმენდი ნაგებობის არარსებობა;

<ul style="list-style-type: none"> • მომსახურების ხელისაწვდომობა მუნიციპალიტეტის ყველა ადმინისტრაციული ერთეულში . • ჯანდაცვის ინფრასტრუქტურის (საავადმყოფო, სასწრაფო სამედიცინო ცენტრი, ამბულატორიები) და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის, ოჯახის ექიმის მომსახურების ხელისაწვდომობა . • სკოლმდე და სრული ზოგადი განათლების შესაბამისი ინფრასტრუქტურის არსებობა და მომსახურების ხელისაწვდომობა ; • წარმატებული მოსწავლეების და სტუდენტების წასახალისებლად მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული პროექტების არსებობა . • გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული სტუდენტების უმაღლესი სასწავლებლებში სწავლის დაფინანსება . • ქალქონში მოქმედი კულტურული ობიექტების არსებობა და სერვისებით ქალქის სრულყოფილ და დაფარვა . • პროფესიული სპორტისთვის შესაფერისი ინფრასტრუქტურა . • მუნიციპალიტეტის გამოცდილება საერთაშორისო პროექტების განხორციელებაში • მუნიციპალიტეტის გამჭვირვალება 	<ul style="list-style-type: none"> • არასაკმარისი ნაპირსამაგრი ნაგებობები ; • არსებული ცენტრალური გაზსადენის მიმდებარე ზოგიერთ სოფელში გაზსადენი შიდა ქსელისა და დარი-უწერის მიმართულებით გაზსადენის ცენტრალური მაგისტრალის არარსებობა ; • შინამფლობელის სერვისის, სოციალური საცხოვრისის და მოხუცებულთათვის შესაფერისი არარსებობა ; • სამედიცინო სფეროში ექიმებისა და ვიწრო სპეციალისტების ნაკლებობა და დაბალი კვალიფიკაცია ; • სამედიცინო სფეროში მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სიმწირე ; • სოფლებში დასამუშავებელი ბავშვებისთვის სათანადო კვალიფიციური კადრის არარსებობა . • მიგრაციის გამო ბავშვთა რაოდენობის სისტემატური შემცირება სოფლად ; • საჯარო სკოლების სპორტული და რეკრეაციის ტექნიკური გაუმართაობა ; • სოფლებში და რაფორმალური განათლების დაბალი ხელისაწვდომობა ; • ფესტივალისთვის სათანადო ინფრასტრუქტურის არარსებობა (ამფითეატრი). • მომკვლევადი საბიბლიოთეკა ინფრასტრუქტურა და სერვისები • ნარჩენების მართვის მოსაკრებლის ამოღების დაბალი მაჩვენებელი • სტიქიური ნაკავსაყრელები ; • მიუხაფარცხოველთა პრობლემა ; • თბობისთვის საშეშემერქნის უკონტროლო ჭრა ; • მუნიციპალიტეტის ტრანსპორტირების სერვისის დაბალი ხელისაწვდომობა ; • არადიჯიტალიზირებული მუნიციპალიტეტის სერვისები ;
შესაძლებლობები	საფრთხეები
<ul style="list-style-type: none"> • დისტანციური მუშაობის მსურველთა რაოდენობის ზრდა . • მუნიციპალიტეტიდან წასულთა უკან დაბრუნების სურვილი . • მაღალი სეზონური მიგრაცია . • მაღალმთიანი რეგიონების განვითარებისა და მაცხოვრებელთა დაბრუნების ხელშეწყობის სახელმწიფო პოლიტიკა . 	<ul style="list-style-type: none"> • დეპოპულაციის სპირალის განვითარება • უფრო მიმზიდველი საცხოვრებელი პირობები და სამუშაო შესაძლებლობები სხვა მუნიციპალიტეტებში • მოსახლეობის უკან დაბრუნების პროცესის შეჩერება • ქვეყანაში შრომისუნარიანი მოსახლეობის ემიგრაციის გაზრდა

<ul style="list-style-type: none"> • განვითარების პარტნიორების მიერ მუნიციპალიტეტში განვითარების მხარდაჭერი პროგრამებისა და პროექტების განხორციელება. • ოპტიკურბოჭკოვანი ინტერნეტის ქსელს გაფართოება მუნიციპალიტეტში. • მეწარმეობის, ინოვაციების განვითარების და ფერმერთა, მუნიციპალიტეტისთვის პრიორიტეტულ სექტორების მხარდაჭერისა და პროექტებში ადგილობრივი თავისებურებების გათვალისწინება. • მუნიციპალიტეტში არსებული უძრავი ქონების ერთიანი მონაცემთა ბაზის არსებობა • ტერიტორიების განვითარებასთან დაკავშირებული სახელმწიფო პროგრამებისა და პროექტებში მუნიციპალიტეტის საჭიროებების (საზოგადოებრივი ტრანსპორტი, გზები, ა.შ.) გათვალისწინება. • მაღალ გადახდისუნარიანობის მქონე ტურისტების მომსახურე კომპანიების და ინტერესება მხართ. • ინტერესი მუნიციპალიტეტის კულტურული მემკვიდრეობის, იდენტობის, ტრადიციების და ენდოგენური პროდუქტების მიმართ. • გაცემული გრძელვადიანი ლცენზიები წიაღის კვლევა - მიებასა და მოპოვებაზე. • ა(ა)იპ საქართველოს სამედიცინო კოლეჯის მიერ 4 ამბულატორიების მშენებლობა. • სახელმწიფოს მიერ 2 ერთეული მაღალგამავლობის ავტობუსის შექმნა მუნიციპალიტეტისათვის. • საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის მიერ ქალქონის წყალმომარაგების სისტემის გაუმჯობესების სამუშაო. • სოფელში გაზსადენი შიდა ქსელს მოწყობის და ღარი-უწყურის მიმართულუბით გაზსადენის ცენტრალური მაგისტრალს მშენებლობით ოპერატორი კომპანიის მხაობა. • ინვესტორების ინტერესი მუნიციპალიტეტის ტყის და წყლის რესურსების მიმართ 	<ul style="list-style-type: none"> • მაღალმთიანი რეგიონებისთვის კანონმდებლობით გათვალისწინებული შეღავათების და დაფინანსების შემცირება - გაუქმება • სხელმწიფო პროექტების და გეგმების სუსტი კავშირი ადგილობრივ განვითარების ინტერესებთან • რუსეთის ფედერაციასთან და ოკუპირებულ ტერიტორიებთან სიახლოვე • წიაღის მოპოვება - გადაუმავლებით გარემოს დაზიანება, დეგრადირება, დაზიანება, ტურიზმის განვითარების შეფერხება. • გარესაინვესტიციო შეთავაზებების ნაკლებობა პატარა ბაზრის და მცირე მუნიციპალიტური რესურსების გამო • ტყის ხანძრები და ტყის მავნებლების გავრცელება • ეპიდემიების, ეპიზოოტიებისა და მცენარეული დაავადებების გავრცელება • ღვარცოფების, მეწყერების და წყალდიდობების განვითარება • 9-ბალანსების მურზონაში ყოფნის გამო მოწინავეების და თანმდევი უარყოფითი სტიქიური პროცესების განვითარება • კლიმატის ცვლილებება
---	---

ხედვა, მიზნები და ამოცანები

ხედვა

ონის მუნიციპალტეტი წარმოადგენს კავკასიონის ქედთან მდებარე მაღალმთიანი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულს. განვითარებულია სათავგადასვლო ტურისტული, პილგრიმული (როგორც ქრისტიანული, ასევე ებრაული) მარშრუტები, რაც ადგილობრივ და საერთაშორისო დონის ვიზიტორებს და უვიწყარ თავგადასავალს სთავაზობს. სასარგებლო წიაღისეულთა და კარგად განვითარებული მცირე და საშუალო ჰიდროელექტროსადგურების საშუალებით უზრუნველყოფილია მოსახლეობის მდგრადი სოციალურ-ეკონომიკური განვითარება, შენარჩუნებულია მოსახლეობის ზრდის ტენდენცია და უკუმიგრაცია. ამასთან, მუნიციპალტეტი სარგებელს ღებულობს ზემო სვანეთი-აღმოსავლეთ საქართველოს დამაკავშირებელი გზის არსებობიდან.

მოქალაქეებისთვის სრულ დარის ხელისაწვდომი ჯანდაცვისა და განათლების სერვისები, შექმნილია მიმზიდველი გარემომცირე და საშუალო მეწარმეების განვითარებისა და ახალგაზრდების დასაქმებისათვის. მოსახლეობის მაღალი ჩართულობის შედეგად, ახალგაზრდების სამოქალაქო აქტიურობით უზრუნველყოფილია ეფექტური მუნიციპალური მართვლობა. მიწვეულია ენერგეტიკული რესურსების გამოყენებითა და მწვანე ეკონომიკის მხარდაჭერით გაუმჯობესებულია მოსახლეობის ცხოვრების დონე. ტურიზმის განვითარებამ მუნიციპალტეტი ჩამაყალიბა რეგიონის ტრადიციების შენარჩუნებისა და პოპულარიზაციის პაბად.

მიზანი 1: ონის მუნიციპალტეტში ინფრასტრუქტურისა და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება, მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლება.

ამოცანა 1.1: შიდა მუნიციპალური გზების მოწესრიგება

ამოცანა 1.2: მუნიციპალტეტის შორისი გზების განვითარების მხარდაჭერა

ამოცანა 1.3: წყლის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება მუნიციპალტეტის იურისდიქციის ფარგლებში

ამოცანა 1.4: გარე განათების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება (გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების ხარისხის შემცირება ალტერნატიული ენერჯის გამოყენებით)

ამოცანა 1.5: მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება

ამოცანა 1.6: ელექტროენერჯის ხელისაწვდომობის გაუმჯობესება ინფრასტრუქტურული პროექტების მხარდაჭერის გზით

ამოცანა 1.7: გაზიფიცირების ხელშეწყობა

ამოცანა 1.8: სპორტული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება

ამოცანა 1.9: საზოგადოებრივი და დასასვენებელი სივრცეების მოწყობა -რეაბილიტაცია, ექსპლოატაცია
ამოცანა 1.10: ქ.ონში აგრარული ბაზრის და სავაჭრო პავილონების მშენებლობა, კეთილმოწყობა
ამოცანა 1.11: ავარიული ობიექტებისა და შენობების რეაბილიტაცია
ამოცანა 1.12: ინტეგრირებულ ტერიტორიულ განვითარების ხელშეწყობა და გამყოფ ხაზთან მდებარე თემების განვითარების მხარდაჭერა
ამოცანა 1.13: ბუნებრივი კატასტროფის რისკის შემცირება
ამოცანა 1.14: მუნიციპალურ ტრანსპორტზე ხელისაწვდომობის გაზრდა
ამოცანა 1.15: საჯარო და კერძო სექტორებს შორის თანამშრომლობის ხელშეწყობა და გამღერება
ამოცანა 1.16: მუნიციპალური სოციალური პროგრამის ხელისაწვდომობის უზრუნველყოფა

მიზანი 2: ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა და ონის ჩამოყალიბება რაჭის ტრადიციების შენარჩუნებისა და პოპულარიზაციის კერად.

ამოცანა 2.1: სტრატეგიული, გამოყენებელი პოტენციური ადგილების იდენტიფიცირება და განვითარების მხარდაჭერა
ამოცანა 2.2: რაჭული ენდემური პროდუქტებისა და ტრადიციების პოპულარიზაციის მხარდაჭერა

მიზანი 3: გარემოს მდგომარეობის გაუმჯობესება და მწვანე ეკონომიკის მხარდაჭერა

ამოცანა 3.1: ნარჩენების მართვის სისტემის გაუმჯობესება
ამოცანა 3.2: ახალი ტურისტული მარშრუტების შექმნა
ამოცანა 3.3: რეკრეაციული ზონების გამწვანება და მოვლა-პატრონობა
ამოცანა 3.4: მიუსაფარი ცხოველების პოპულაციის მართვის პროცესების გაუმჯობესება
ამოცანა 3.5: სასაფლავების მოვლა-დასუფთავება

მიზანი 4: განათლების, სპორტისა და კულტურული ღონისძიებების მხარდაჭერა

ამოცანა 4.1: განათლების ხელშეწყობა
ამოცანა 4.2: ჯანსაღი ცხოვრების წესის მხარდაჭერა
ახალგაზრდობში

მიზანი 5: მოსახლეობის მაღალი ჩართულობით ეფექტური მუნიციპალური მმართველობის უზრუნველყოფა

ამოცანა 5.1: გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოსახლეობის მონაწილეობის ხელშეწყობა

ამოცანა 5.2: ელექტრონული მმართველობის კომპონენტის გაძლიერება მუნიციპალური სერვისების ხელისაწვდომობისა და ხარისხის გასაუმჯობესებლად

ამოცანა 5.3: ინტეგრირებული ტერიტორიული განვითარების ხელშეწყობა

ლოგიკური ჩარჩო

მოცემულია ცალკე და ნართად

განხორციელება, მონიტორინგი და შეფასება

განხორციელება

სტრატეგიის დოკუმენტის განხორციელება იწყება 2024 წლის 1 იანვრიდან და მის განხორციელებაზე პასუხისმგებელია მუნიციპალური მერი. სტრატეგიის განხორციელების კოორდინაციას უზრუნველყოფს მუნიციპალური მერის პირველი მოადგილე. თითოეული მიზნის და მისი ამოცანების, გავლენის ინდიკატორების მიღწევაზე პასუხისმგებელ სამსახურებს განსაზღვრავს მერი. აქტივობების შესრულებაზე პასუხისმგებელი უწყებები განსაზღვრულია სამოქმედო გეგმაში. სტრატეგიის განხორციელებაზე პასუხისმგებელი სამსახურის (უწყების) რეორგანიზაციის, ლიკვიდაციის ან/და სხვა სამსახურთან (უწყებასთან) შერწყმის შემთხვევაში სტრატეგიის შესაბამის მიზნების, მათი ამოცანების, გავლენის ინდიკატორების მიღწევაზე პასუხისმგებელი იქნება მისი უფლებამონაცვლე სამსახური (უწყება).

სტრატეგიის განსახორციელებლად საჭიროა თანხების მუნიციპალური ბიუჯეტის პროექტში გათვალისწინებაზე და მუნიციპალური ბიუჯეტის პროექტის სტრატეგიისთან შესაბამისობაზე პასუხისმგებელია საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური. სტრატეგიის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ აქტივობების განსახორციელებლად საჭირო შესყიდვების დაგეგმვასა და შესყიდვების დროულ და განხორციელებაზე პასუხისმგებელია მუნიციპალური შესყიდვების სამსახური.

სამოქმედო გეგმის ხანგრძლივობა შეადგენს 2 წელს. ის მოიცავს მიზნების, ამოცანების, აქტივობების, აქტივობის შედეგის ინდიკატორის, განხორციელების პერიოდის, შესაბამისი ბიუჯეტის, დაფინანსების წყაროსა და განმახორციელებელი უწყების შესახებ კონსოლიდირებულ ინფორმაციას. ორწლიანი სამოქმედო გეგმის განსახორციელებლად საჭიროა 22 მლნ რი. აქედან 1.1% დახარჯული იქნება მუნიციპალური ბიუჯეტიდან, 95% გამოყენებული იქნება რეგიონებში განსახორციელებლად პროექტების ფონდიდან. ორწლიანი სამოქმედო

გეგმის განსახორციელებლად საჭირო თანხის 95%-ის მობილიზებისთვის გამოყენებულ იქნება კანონმდებლობით გათვალისწინებული დაფინანსების ყველ შესაძლო წყარო, მათ შორის - ადგილობრივი და საერთაშორისო ფონდები, საერთაშორისო დონორი ორგანიზაციებისა და პარტნიორი ქვეყნების ფინანსური მხარდაჭერა, კერძო სექტორისა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების თანამონაწილობა.

ახალ სამოქმედო გეგმის შემუშავებამდე განხორციელდება არსებული მონიტორინგი და შეფასება, რაც საფუძველი იქნება მომდევნო 2 წლიანი პერიოდის მეტად ეფექტიანად და ხარჯეფექტიანად დასაგეგმად. სამოქმედო გეგმის მონიტორინგი და შეფასება მთლიანი დოკუმენტის შუალედური შეფასების ნაწილს წარმოადგენს. შედეგად, შესაძლებელია სამოქმედო გეგმაში ცვლილებების შეტანა, თუმცა საჭიროა აღნიშნული ცვლილებების მიზანშეწონილობის დასაბუთება. სტრატეგიაში ცვლილებების შეტანა მოხდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. მუნიციპალტეტის მერის ანგარიშის საფუძველზე მუნიციპალტეტის საკრებულო უფლებამოსილია, განიხილოს და დაამტკიცოს სტრატეგიაში ან/და სამოქმედო გეგმაში ცვლილებების შეტანის საკითხი.

დინტერესებულ მხარეები, სტრატეგიის განხორციელებაში ჩართულ უწყებები და ორგანიზაციები და მეზობელ მუნიციპალტეტები სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის განხორციელების შესახებ ინფორმაციის მიღებას შეძლებენ მუნიციპალტეტის პასუხისმგებელ პირებთან შეხვედრების, მუნიციპალტეტის ოფიციალური ვებგვერდების, სოციალური ქსელების და სხვადასხვა მედიის მეშვეობით.

მონიტორინგი და შეფასება

სტრატეგიის დოკუმენტის შესრულების მონიტორინგი განხორციელდება სისტემატურად, რაც გულისხმობს მონიტორინგის და შეფასების გეგმის მიხედვით გაწერილ საქმიანობების განხორციელებას, აქტივობების და პროექტების შესრულების მეტაფორულად, ხარვეზების, შეფერხებისა თუ წარმატების შემთხვევების გამოვლენის მიზნით.

სტრატეგიის დოკუმენტის განხორციელების მონიტორინგისთვის, მის განხორციელებაზე პასუხისმგებელ პირი, როელსაც განსაზღვრავს მერი, ყოველ სამი თვის განმავლობაში დებულობს ინფორმაციას აქტივობების განხორციელების და აქტივობის შედეგის ინდიკატორის მაჩვენებლის მიღწევასზე პასუხისმგებელ უწყებებისგან. მომზადებული ე.წ. პროგრესი ანგარიში წარედგინება მერს. ყოველ ექვსი თვის შემდეგ, იგივე პრინციპით ინფორმაცია გროვდება აქტივობების განხორციელების და აქტივობის შედეგის ინდიკატორის მაჩვენებლის მიღწევის შესახებ და ე.წ. პროგრესის ანგარიში წარედგინება მერს.

ყოველ წლს ბოლოს ე.წ. პროგრესის ანგარიშების ანალოგიურად მომზადებული მონიტორინგის წლიური ანგარიში წარედგინება მერს და საკრებულოს.

სტრატეგიის დოკუმენტის განხორციელების დაწყებიდან მეორე წლის ბოლოს, სტრატეგიის განხორციელების კოორდინაციაზე პასუხისმგებელი პირი მოამზადებს ინფორმაციას აქტივობების და ამოცანის განხორციელების, აქტივობის შედეგის და ამოცანის შედეგების ინდიკატორის მაჩვენებლების მიღწევის შედეგების შესახებ და წარუდგენს სტრატეგიის დოკუმენტის განხორციელების შეფასების ჯგუფს. შეფასების ჯგუფი მოამზადებს სტრატეგიის განხორციელების შესრულების შუალედურ ანგარიშს და შუალედურ ანგარიშს წარუდგენს მუნიციპალ ტეტის მერს და საკრებულოს.

მონიტორინგი და შეფასება, რაც დაკავშირებულია სამოქმედო გეგმის განახლებასთან, დაგეგმილია 2 წელწაღი ერთხელ გამომდინარე იქიდან, რომ 1 მარტამდე მზადდება ბიუჯეტის შესრულების ანგარიში, მასთან ერთად განხორციელდება მონიტორინგისა და შეფასების ნაწილც პირველ წლს ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის გათვალისწინებით. შედეგების საფუძველზე კი მოხდება სამოქმედო გეგმის განახლება უკვე შემდეგი ორი წლისათვის.

სტრატეგიის დოკუმენტის საბოლოო შეფასება შეფასების ჯგუფის მიერ მზადდება სტრატეგიის ამოქმედებიდან ოთხი წლის გასვლს შემდეგ. საბოლოო შეფასებაზე დაყრდნობით შესაძლებელია, სრულდ განახლდეს მუნიციპალ ტეტის სტრატეგიის დოკუმენტი. მონიტორინგისა და შეფასების ნაწილში ადგილობრივი ხელსუფლება ითანამშრომლებს საზოგადოების ორგანიზაციებთან, მოქალაქეებსა და ბიზნეს სექტორთან.

სტრატეგიის დოკუმენტის შესაფასებლად მერი შექმნის მუნიციპალ ტეტის და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებისაგან შემდგარ შერეულ ტიპის სტრუქტურას, რომლის შემადგენლობაშიც შევა, მერიის, საკრებულოს, სამოქალაქო საზოგადოების და ბიზნესის წარმომადგენლები.

დანართები და რუქები

[მოცემულია ცალკე დოკუმენტის სახით]